პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 182 (10576) | სამშაბათი, 7 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ერთვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის, ძალის, სილამაზის დღესასწაული

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საზეიმო გახსნა

მოსკოვი. 5 აგვისტო. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე. სურათზე: სპორტსმენი ქალები მოძმე რესპუბლიკების დელეგაციებიდან ყვავილებს უძღვნიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

სპორტსმენი ქალები მოძმე რესპუბლიკების დელეგაციებიდან. ფოტო ვ. კისლოვისა და ა. უსტინოვისა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

გუშინ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ზეიმით გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ეს იყო ახალგაზრდობის დიდი, ნათელი და სასიხარულო დღესასწაული, კომუნისტური პარტიის გარშემო ერთიან და ურღვევ ოჯახად დარაზმული საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური მეგობრობის აღმაფრთოვანებელი დემონსტრაცია.

საბჭოთა სპორტის ისტორიაში ამ თვალსაჩინო მოვლენისათვის ბეჯითად ემზადებოდა მრავალი თვის განმავლობაში მილიონობით საბჭოთა ფიზკულტურელი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების მსვლელობაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ ფიზკულტურელთა რიგები და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მათი სპორტული ოსტატობა. მოკავშირე რესპუბლიკათა, ხაზოგადოებათა და უწყებათა სპარტაკიადებში მონაწილეობა მიიღო 17 მილიონზე მეტმა კაცმა. მათგან დაახლოებით ათი ათასმა მოიპოვა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში პირველობისათვის ბრძოლის უფლება.

თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკამ მოსკოვში სპარტაკიადაზე გაგზავნა საუკეთესო ახალგაზრდობა, ყველაზე ძლიერი, მარჯვე და სწრაფი სპორტსმენები. სადღესასწაულო მარშპარადის კოლონებში წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის 40 სხვადასხვა ეროვნება. მხნეებმა, ძლიერებმა, მარჯვეებმა ჩაუარეს მათ გუშინ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებს, ცხადყვეს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ფართო გაქანება, მისი მასობრიობა, მისი ხალხური ხასიათი.

დიდი ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ ნამდვილად მისცა თანასწორი უფლებები ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, შექმნა უსაზღვრო შესაძლებლობანი მათი სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივი განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა თავის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. ამ რესპუბლიკებში შექმნილია მხსნელი სოციალისტური მრეწველობა, დამკვიდრდა საყოველთაო წყობილება, გამოიჭედა მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები, აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. სწრაფად განვითარდა ფიზკულტურა და სპორტი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოდის რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, უზბეკეთისა და ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის, თურქმენეთისა და მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის, ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის ახალგაზრდობა — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ბედნიერი თაობა. მათ შორის არიან მუშები და კოლმეურნეები, მექანიზატორები და მშენებლები, ინჟინრები და სახელოსნო სკოლების აღზრდილები, სტუდენტები და ექიმები, მასწავლებლები და მოსამსახურეები... აქ ვხედავთ ახალგაზრდა პატრიოტებს, რომლებიც თავდადებით მუშობენ სამრეწველო საწარმოებში და გიგანტურ მშენებლობებზე, უამრი და ნასვენი მიწების ათვისების გმირებს, სტუდენტებსა და სკოლების მოსწავლეებს. საბჭოთა სამშობლომ მათ გაუხსნა შემოქმედების, ცოდნის, კულტურის ყველა გზა.

ხალხთა მეგობრობა მომძმე მოკავშირე რესპუბლიკების აყვავების საიმედო საფუძველია, საბჭოთა სახელმწიფოს ძალის მძლავრი წყაროა. იგი განმტკიცებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ერთობლივი გმირული ბრძოლით, ერთსულოვანი შემოქმედებითი შრომით, კომუნისტური მშენებლობის საერთო ამოცანებით. ძმური მეგობრობით მტკიცედ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი უმაგალითო შემოქმედებითი აღმავლობით იბრძვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, აღწევს თვალსაჩინო წარმატებებს მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში.

კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე დიდი ენთუზიაზმით შრომობს ჩვენი ახალგაზრდობა. პარტიისა და მთავრობის მოწოდებით იგი მიდის იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა მისი ძალები და ცოდნა, მისი ახალგაზრდული ხიბლიხე და სიმტკიცე. ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი მუშაობს უამრის ათვისებაზე, აშენებს ახალ ქარხნებს, ფაბრიკებს, მაღაროებს, გზებსა და ქალაქებს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში. მილიონობით ახალგაზრდა თავდადებით მუშაობს ქარხნებში, შახტებში, ნავთობსარეწებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამრავლებს ჩვენი სამშობლოს ძალასა და ხიმდიდრეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობა იზრდებოდეს ჯანსაღი, მხნე, გაბედული, ხალისიანი, შრომისმოყვარე, ცოდნით აღჭურვილი, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო. ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობას შექმნილი აქვს ფართო შესაძლებლობანი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. მის განკარგულებაშია სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, კულტურის სასახლეები და სტადიონები, ბიბლიოთეკები და კლუბები, წიგნები და გაზეთები. და ეს შესაძლებლობანი დღითიდღე იზრდება სოციალისტური ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის საერთო სწრაფ ზრდასთან ერთად.

გუშინდელმა დღესასწაულმა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, აგრეთვე სპორტულმა დღესასწაულმა ყველა რესპუბლიკაში ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღის აღსანიშნავად ცხადყო საბჭოთა ახალგაზრდობის ძალა და სილამაზე, მისი მხნეობა და თავისი მომავლის რწმენა, მისი მხურვალე სიყვარული კომუნისტური პარტიისადმი, მისი მზადყოფნა იშრომოს სამშობლოს სასახელოდ.

ახი ათასზე მეტი მაყურებელი შეიკრიბა გუშინ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე და აღტაცებით ადევნებდა თვალყურს სპორტსმენთა საუცხოოდ დამუშავებულ, უბრალოდ და ბუნებრივად შესრულებულ ტანვარჯიშს. ყველა გამოხვლა მაღალ დონეზე იყო და მოწმობდა ახალგაზრდობის საუცხო ფიზიკურ მომზადებას, მის ფაქტურულ ოსტატობას.

ფიზკულტურელთა პარადმა და გამოსვლებმა დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ საბჭოთა სპორტის რეზერვები დაუშრეტელია. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეთა შორის ბევრი სპორტსმენია, რომელმაც სახელი მოუხვეჭა ჩვენს სამშობლოს თვალსაჩინო საკავშირო და მსოფლიო მიღწევებით. მაგრამ სპორტის სახელგანთქმულ ოსტატებთან ერთად სპარტაკიადის შეჯიბრებაში მონაწილეობს ათასობით რიგითი ფიზკულტურელი, რომლებმაც ფინალური შეჯიბრებისათვის მზადების დღეებში მაღალი შედეგები გვიჩვენეს სულ სხვადასხვა სახეობის სპორტში. ეჭვი არ არის, რომ მათი რიგებიდან დაწინაურდებიან ახალი ოსტატები და რეკორდსმენები.

მოსკოვში სპორტულ დღესასწაულს ბევრი უცხოელი სტუმარი დაესწრო. საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი თვალსაჩინო მიღწევებით უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭეს მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე, დაუცხრომლად განამტკიცებენ და აფართოებენ მეგობრულ კავშირს სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან, რადგან იციან, რომ ეს კავშირი ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებას. მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღე და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნა, რაც გუშინ მოხდა, გადაიქცა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დიდ დღესასწაულად. ეს დღესასწაული მოწმობს ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის უდიდეს გაქანებას, იმას, რომ სპორტი საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა, მტკიცედ შედის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში და საბჭოთა ადამიანების ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა გაიხსნა. თორმეტი დღის განმავლობაში დედაქალაქის სტადიონებზე, საცურავ აუზებში, სატანვარჯიშო დარბაზებში გაგრძელდება შეუპოვარი სპორტული ბრძოლა პირველობისათვის. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი მხურვალედ უსურვებს ფიზკულტურელებს ახალ სპორტულ წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს სასახელოდ!

„პრავდის“ 6/VIII მოწინავე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი სენატორი ალენ ელენდერი

6 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი ამერიკელი სენატორი ალენ ელენდერი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკვლევი).

ახალგაზრდობა, ძალა და სილამაზე განუყოფელია ფიზიკური კულტურისაგან. კარგი სპორტული შეჯიბრება გამსჭვალულია ახალგაზრდული ხალისით, გამარჯვებისადმი მისწრაფებით, სისწრაფით, სიმარჯვითა და ძალით.

ჩვენს ხალხს უყვარს ფიზიკური კულტურა და სპორტი. ყოველწელიწადს ფიზკულტურელის ტრადიციული სრულიად საკავშირო დღე აღინიშნება როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. წელს იგი დაემთხვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნას.

შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ დედაქალაქის ყველა მცხოვრების ყურადღება მიპყრობილია სპარტაკიადისადმი. და არა მარტო მოსკოველებისა. დედაქალაქში სპარტაკიადაზე ჩამოვიდნენ სტუმრები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან.

5 აგვისტოს დღესასწაულის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონისაკენ გაემართნენ მოსკოველები. ასი ათასზე მეტი კაცით აივსო დიდი სასპორტო არენის ტრიბუნები. გარშემო ყველაფერი ახმაურდა, ამოძრავდა.

სპორტულ დღესასწაულს ესწრებიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, მეწველელობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ტრიბუნებზე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ცენტრალურ ლოჟაში შემოდიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ დიდი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთ. მოსკოვში ჩამოვიდნენ უცხოეთის სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეები, საერთაშორისო და ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელები, უცხოეთის სპორტული დელეგაციები.

მაყურებელთა თვალი მიპყრობილია მწვანე მინდორზე. ფერადი კოსტიუმებით აქ ჩამწკრივდნენ პარადის მონაწილენი — მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფიზკულტურელები. ისინი ექვსი ათასზე მეტი არიან.

პარადის სარდალი შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ნ. რომანოვს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. შელეპინს და საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ა. ი. შევჩენკოს, რომლებიც პარადს იღებენ.

ტრიბუნებიდან ჰაერში აფრინდნენ თეთრი მტრედები. გაისმის პატაკის სიტყვები. ამხ. რომანოვი მიესალმა ფიზკულტურელებს. პასუხად ისმის მძლავრი „გაგომარჯოს“. მომწოდებლად უკრავენ ფანფარები — „ისმინეთ ყველამ!“

ამხ. რომანოვი სიტყვით მიმართავს სპორტსმენებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი ულოცავს მათ ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღეს და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნას.

სპარტაკიადის მონაწილეების, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მრავალრიცხოვანი არმიის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით ამხ. რომანოვი მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიასა და მთავრობას მოზარდი თაობის აღზრდაზე ზრუნვისათვის, მშვენიერი საჩუქრის — მოსკოვის ცენტრალური სტადიონისათვის. იგი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი ღირსეულად შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის მითითებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

ამხ. რომანოვი თავის სიტყვას ამთავრებს და გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ფიზკულტურელებს, ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა მთავრობას. იგი აცხადებს: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“

„დიდება! დიდება! დიდება!“ — გაისმის სპორტსმენთა რიგებში. ხმამაღალი „ვაშა“ გადაურბენს მათს რიგებს. ფიზკულტურელები ტაშს უკრავენ.

...სტადიონზე გამოჩნდა მორბენალთა ჯგუფი. ესენი არიან სრულიად საკავშირო ვარსკვლავისებრი ამანათრბენის მონაწილენი. ამანათრბენი დაიწყო ივლისში ვლადივოსტოკში, კიშინიოვში, ვილნიუსში, ტალინში, პეტროზავოდსკში, ბაქოში, ერევანსა და ტაშკენტში. რვა მარშრუტით ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გავლით მძლეოსნებს, ნიჩბოსნებს, ველოსიპედისტებს, მოტოციკლისტებს, ცხენოსნებს ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორემდე მიჰქონდათ მოსკოვში ამანათი — პაკეტი შრომასა და სპორტში თავიანთ წარმატებათა შესახებ.

გაისმის ბრძანება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ალმის აღმართვისათვის, პარადო, სმენა!“ მოკავშირე რესპუბლიკათა საუკეთესო სპორტსმენებმა მარშის ჰანგებში ტრიბუნების აღლოს გაატარეს სსრ კავშირის ალამი. აი ისინი მიდიან ფლაგშტოკთან. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება. დიდებულად ეფერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია, აფრიალდა ჩვენი სამშობლოს წითელი ალამი.

ფიზკულტურელთა კოლონებს გამოეყვნენ ქალიშვილები. მათ ხელში უჭირავთ ყვავილთა თაიგულები. სპორტსმენი ქალები საფეხურებით ავიდნენ ცენტრალურ ლოჟასთან და ყვავილები მიართვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. მთელი სტადიონი მხურვალედ უკრავს ტაშს.

კოლონები შებრუნდნენ და განიერი სპორტული ნაბიჯით დაიძრნენ. წინ მიდიან ფიზკულტურელები, რომლებსაც მიაქვთ საბჭოთა კავშირის გერბის სკულპტურული გამოსახულება. ფრიალებს სსრ კავშირის დროშა. მედროშეა მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, საბჭოთა დევგმირი ალექსანდრე მაზური.

ბილიკზეა მედროშეთა კოლონა. ქარი არხევს მოკავშირე რესპუბლიკების და ფერად სასპორტო ალმებს. ძარღვიანმა, მზით გარუჯულმა ხელებმა ამაყად აღმართეს დროშა ვ. ი. ლენინის პორტრეტით, დროშები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით.

ჩაიარეს თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლონებმა. მოდიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელებმა 1955 წლის საერთაშორისო შეხვედრებში სამშობლოს მოუტანეს 362 ოქროს, 169 ვერცხლისა და 116 ბრინჯაოს მედალი. მარტო წელს 184-ჯერ განახლდა საბჭოთა კავშირის რეკორდები და 50-ჯერ გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდები.

იწყება მასობრივი სატანვარჯიშო გამოსვლა. 1.500 ბავშვმა აღტაცებული „ვაშას“ ძახილით მიაშურა მოედანს. მოსწავლეები სპარტაკიადის მონაწილეებს უძღვნიან პიონერულ სალამს და სტადიონი მათ ოვაციით უპასუხებს.

ბიჭებისა და გოგონების ჯგუფი ბავშვთა სახელით ყვავილების თაიგულებს უძღვნის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ბავშვები მინდვრის შუაგულში იკრიბებიან და ოსტატურად ქმნიან სიტყვებს „მადლობა სამშობლოს“.

შეირხა საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ფიზკულტურელთა დროშების ლურჯი ზღვა. სტადიონზე არიან მოსკოვის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები — 2.300 სპორტსმენი. ჭაბუკები მშვენიერი რიტმით ასრულებენ ტანვარჯიშს მცირე შტანგებით. თავიანთ ოსტატობას ცხადყოფენ აკრობატები. გამოდიან მხატვრული ტანვარჯიშის ახალგაზრდა ოსტატები.

სტადიონზე არიან მძლეოსნები. მიმდინარეობს ფინალური შეჯიბრება 10 ათას მეტრზე რბენაში — მძლეოსნობის პირველი ჩასათვლელი ასპარეზობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში.

ფინიშთან პირველი მიდის მოსკოველი ვლადიმერ კუცი. მისი შედეგია 28 წუთი და 57,8 წამი. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია. წინანდელი რეკორდი გაუმჯობესებულია 1,4 წამით. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს უკრაინის წარმომადგენლებმა ჩერნიავსკიმ და ანუფრიევმა.

მწვანე მოედანი დაიკავეს ფიზიკური კულტურის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

სტუდენტებმა მოედანე „ტანვარჯიშის დარბაზად“ გადააქციეს, ცხადყვეს თავიანთი ოსტატობა.

ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა დამთავრდა. იგი შესანიშნავი იყო სიზუსტითა და სილამაზით. მასობრიობა შეხამებული იყო ოსტატობასთან.

მოედანზე გამოდიან „დინამოს“ და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის მოსკოველ ფეხბურთელთა გუნდები. იწყება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრის შეჯიბრება.

ტრიბუნებზე გრიალებს ერთსულოვანი ტაში. მაყურებლები მიესალმებიან მოსკოვ-ხარკოვ-კიევ-მინსკ-მოსკოვის მარშრუტით სრულიად საკავშირო მრავალი დღის ველოსიპედით რბოლის მონაწილეთა ფინიშს. 15 დღის განმავლობაში სპორტსმენები დაძაბულ ბრძოლას ეწეოდნენ სამი მოკავშირე რესპუბლიკის გზებზე. გავლილია 2.500 კილომეტრზე მეტი. და აი ძნელი შეჯიბრების მონაწილენი სტადიონზე არიან. უკანასკნელ ეტაპზე ფინიშს პირველი ამთავრებს მოსკოველი ი. კოლედოვი.

ფეხბურთელთა შეჯიბრების შესვენების დროს გაიმართა ქალთა და ვაჟთა გუნდების ესტაფეტი 4×200. ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი და უჩვენა დრო 1 წუთი და 24,7 წამი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ბ. ტოკარევი და ვ. სუხარევი (მოსკოვი), ლ. ბარტენევი (კიევი) და ა. იგნატიევი (ლენინგრადი).

მოსკოვის ორი პოპულარული გუნდის შეჯიბრება ფეხბურთში დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 2:2. ფეხბურთელთა თამაშის შემდეგ გაიმართა მრავალი დღის ველოსიპედისტების გამარჯვებულთა პატივისცემა და დაჯილდოება.

სასპორტო დღესასწაული ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს იყო მასობრივი საბჭოთა სპორტული მოძრაობის წარმატებათა მკაფიო ჩვენება, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის დემონსტრაცია. (საკვლევი).



მოსკოვი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნა. სურათზე: სპარტაკიადის მონაწილეთა საზეიმო პარადი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.

ფოტო ს. კორშუნოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოში

ტაშკენტში ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ

ითვალისწინებს რა, რომ უზბეკეთში არის დიდი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, მეცნიერთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდნენ, აგრეთვე დიდი სამუშაოები, რომლებიც რესპუბლიკაში წარმოებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მოეწყოს ტაშკენტში უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის ამოცანაა ატომის ფიზიკის ფუნდამენტალურ საკითხთა კვლევა, ნიშანდებული ატომების ფართოდ გამოყენება ბიოლოგიაში, ქიმიაში, მედიცინასა და ტექნიკაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტს გამოეყო საექსპერიმენტო ატომური რეაქტორი, შესაბამისი მოწყობილობა და აპარატურა კვლევისათვის ატომგულის ფიზიკის დარგში. განზრახულია აშენდეს ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი შენობა და ლაბორატორია, აგრეთვე რეაქტორის შენობა და საცხოვრებელი შენობები თანამშრომლებისათვის.

ქ. ტაშკენტში ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის არსებობა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საშუალებას მისცემს როგორც უზბეკეთის სსრ მეცნიერებს, ისე შუა აზიის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებს.

ასეთი იქნება ბუხტარმის ზღვა

უსტ-კამენოგორსკი, 2 აგვისტო. (საკადესი). ირტიშის ხეობაში დაბა სერებრიანკას ზემოთ მარკაკოლსკის და ზაისანის რაიონებამდე შეიძლება შეხვდეთ ახალ გეოდეზიურ ნიშნებს. ისინი ხშირად მრავალი კილომეტრით არიან მდინარეს დაშორებულნი. ეს არის საზღვრები მომავალი ხელოვნური ზღვისა, რომელსაც შექმნის ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი.

ახლოვდება დრო, როცა დაიწყება ამ უზარმაზარი წყალსაცავის ავსება. ჰიდროკვანძის კაშხალში უკვე ჩასხმულია პირველი ათასობით კუბური მეტრი ბეტონი. ზამთარში მშენებლებმა ირტიში უნდა გაუშვან მის მაღლებში, რისთვისაც უნდა აიგოს მარცხენა ნაპირის ქვაბულის ზღუდარი. ეს იქნება ბუხტარმის ზღვის შექმნის დასაწყისი. ამ ზღვის ფართობი 5.500 კვადრატული კილომეტრი იქნება. აქ წყლის მარაგი არალის ზღვის მოცულობის ნახევარს მიაღწევს.

500 კილომეტრით შემცირდება ირტიშის მარჯვენა ნაპირის უდიდესი შენაკადის მდინარე ბუხტარმის სიგრძე. ხელოვნური მტკნარი ზღვის წყალი მოუახლოვდება ზირიანოვსკის — ყაზახეთის ახალგაზრდა, სწრაფად მზარდ ინდუსტრიულ ცენტრს.

პარტიული ცხოვრება

პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრი



პარტიულ ბიბლიოთეკაში რაიკომის შტატგარეშე ლექტორი ა. ადამაშვილი შემოვიდა.

— ამხანაგო ეკატერინე! — მიმართა მან ბიბლიოთეკარს ე. ელიავშვილს, — კარგა ხანია ვამზადებ ლექციას კომუნისტური მორალის შესახებ, გთხოვთ დამეხმაროთ მასალების შერჩევაში.

ასეთი მოთხოვნებით ხშირად მოდიან პარტიულ ბიბლიოთეკაში თბილისის ლენინის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის წევრები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტატორები, რიგითი კომუნისტები. პარტიულ ბიბლიოთეკაში მათ ურჩევენ ლიტერატურას, აცნობენ რაიონის საწარმოო ცხოვრების ამსახველ დიაგრამებს, მაჩვენებლებს, ფოტოდოკუმენტებს, პერსპექტიულ გეგმებს და სხვა მასალებს.

ზაფხულის პერიოდში, როდესაც პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობა შეწყვეტილია, უფრო მეტი გაქანება მიიღო ლექციურმა პროპაგანდამ. 45 კაცამდე გაიზარდა რაიკომის ლექტორთა ჯგუფი, იგი რაიონის საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკებით შეივსო. ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის უფროსი ვ. გომარელი ცოცხლად და საინტერესოდ კითხულობს ლექციას თემაზე: „შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზები“, მუსიკალური ინსტრუმენტისა და ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინერი გ. ფერაძე — „სსრ კავშირში ტექნიკური პროგრესის გზების შესახებ“, ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი მ. სარჯველაძე — „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ღონისძიებათა შესახებ“ და სხვ.

პარტიულ ბიბლიოთეკაში ხშირად ნახავთ რაიკომის შტატგარეშე ლექტორს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვ. გრიგალაშვილს, ავტოსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანს ლ. ნიკურაძეს და სხვებს. ისინი აქ ეცნობიან სკკპ XX ყრილობისადმი მიძღვნილ მასალებს და ფოტოდოკუმენტებს. ლექტორ-პროპაგანდისტებს და აგიტატორებს კარგად ეხმარება სტენდი, რომელზეც მოთავსებულია ლენინის რაიონის საწარმოების მაჩვენებლები, მოწინავე ადამიანების ფოტოსურათები, მათ მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ცნობები ამ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიული ბიბლიოთეკა ახალი წიგნების პროპაგანდის საქმეში. ცალკე სტენდზე გამოფენილია უკანასკნელ ხანებში გამოცემული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, დროულად დგება კატალოგები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოფენა, რომელიც ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას I ყრილობიდან XX ყრილობამდე.

ამას წინათ პარტიულმა ბიბლიოთეკამ აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა დასახმარებლად მოამზადა ალბომი, რომელშიც მოთავსებულია მასალები ლენინის რაიონის განვითარების პერსპექტიულ ღონისძიებათა შესახებ რუსულ და ქართულ ენებზე. ალბომში დაწვრილებით მოთხრობილია იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1956 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების დარგში. მოთხრობილია აგრეთვე ქუჩების რეკონსტრუქციაზე, კულტურულ და ადმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობაზე. ახლა აგიტატორები ამ მასალებს ფართოდ იყენებენ მშრომელებთან გამართულ საუბრებში.

ამ დღეებში პარტიულ ბიბლიოთეკაში დიდი გაცხოველებაა. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და პროპაგანდისტები აქ იღებენ საჭირო რჩევასა და კონსულტაციას პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე, იმაზე, თუ რომელი წრეები და სკოლები შექმნან, როდის და რა საკითხებზე მოიწვიონ პროპაგანდისტთა სემინარები, სად და როგორი სახელმძღვანელო ლიტერატურა შეიძინონ.

მ. ვარდოსანიძე.

* * *

სურათზე: პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. გერსამია (მარცხნიდან მესამე) ესაუბრება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლისათვის მზადების საკითხზე.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

არ შეევურიგდეთ ნაკლოვანებებს მოსავლის აღებაში

გორის რაიონში მასობრივად გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ბევრი კომბაინერი. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყველა საჭირო ღონისძიება ხორციელდება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. მაგრამ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში არ სრულდება მკის ყოველდღიური დავალებები, ცუდად იბრძვიან პურეულის დანაკარგების წინააღმდეგ.

მკის დავალებებს ყველა კომბაინერი უნდა ასრულებდეს

შინდისის მტს-ის კომბაინერს ლ. ლობჟანიძეს, რომელიც მოსავლის აღებაზე სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობაში მუშაობს, „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 13 დღეში მომკილი აქვს მხოლოდ 75 ჰექტარი. ის ახალგაზრდა კომბაინერია, მანქანას ჯერ კიდევ კარგად ვერ ფლობს. მაგრამ მტს-ში არიან მოწინავე კომბაინერები, მაგალითად, ს. გალავანაშვილი, ვ. სირანაშვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად 17-18 ჰექტარს მკიან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. მექანიზატორ ლობჟანიძეს დიდად დაეხმარებოდა ამ კომბაინერთა მუშაობის გამოცდილების გაცნობა, მაგრამ მტს-ის დირექცია და პარტბიუროო ამისათვის თავს არ იწუხებენ.

ტექნიკური უწესივრობით ხშირად არის გაჩერებული აგრეთვე მტს-ის თვითმავალი კომბაინი, რომელიც მოსავალს იღებს შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. კომბაინით 14 დღეში მომკილია რაღაც 36 ჰექტარი! ეს ფაქტი იმაზე ლაპარაკობს, რომ მტს-ში კომბაინების რემონტის ხარისხისათვის თავის დროზე საჭირო ყურადღება არ მიუქცევიათ.

სოფელ ვარიანის გოგებაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში ვნახეთ გამოცდილი კომბაინერი ზ. ყულიაშვილი. მართალია, იგი მკის დავალებებს ასრულებს, მაგრამ შეუძლია ბევრად უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდეს, მისი კომბაინი სრულ წესრიგზე რომ იყოს. იმის გამო, რომ კომბაინის ბუნკერს არა აქვს მარცვლის თვითსაცლელი მოწყობილობა, ავტომანქანის ძარაში ბუნკერიდან მარცვლის გადმოტვირთვა ხელით წარმოებს. გარდა იმისა, რომ კოლმეურნეობას ამ საქმეზე ზედმეტად სამი კაცი უბანდება, კომბაინი ბუნკერის ყოველ დაცლაზე საშუალოდ ოც წუთს უმოქმედოდ დგას. ყულიაშვილმა გვითხრა: — ეს დღეში იმდენ დროს მაკარგვინებს, რამდენიც საჭიროა დაახლოებით 5-6 ჰექტარის ასაღებადო.

ზოგჯერ კომბაინები ცდება კოლმეურნეობათა მიზეზითაც. ასეთი ფაქტი ვნახეთ სოფელ ბერშუეთის კოლმეურნეობაში.

დანაკარგები დიდია

ბევრ კოლმეურნეობაში თავს არ იწუხებენ თავთავების აკრეფისათვის. სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ე. ბეგიაშვილი, პარტბიუროს მდივანი თ. სრესელი) ზოგიერთ ნაკვეთში თვითეულ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ დატოვებულია 8-10 თავთავი. კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის (ხელმძღვანელი ო. სრესელი) 15-ჰექტარიან თავთავებაუკრეფავ ნაკვეთს ტრაქტორით ხნავდნენ. ამ მდგომარეობას იქვე მყოფი კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ქ. ზარაფოვა ნორმალურ მოვლენად თვლიდა.

ტყვიავის მტს-ის „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი (კომბაინერი ე. ბინდურაშვილი) ნამჯას დიდი რაოდენობით აყოლებდა გალეწილ მარცვალსა და გაულეწავ თავთავს. ეს 1 აგვისტოს ენახა მტს-ის პარტბიუროს მდივანს ამხ. რ. ურიგაშვილს, მაგრამ მის სიტყვიერ მითითებებს დანაკარგის დაუყოვნებლივ აღკვეთის შესახებ შედეგი არ მოჰყოლია. მეორე დღესაც კომბაინი კვლავ აყოლებდა ნამჯას გალეწილ მარცვალსა და გაულეწავ თავთავს.

დანაკარგები დიდია აგრეთვე სოფლების ყელქცეულის, საქაშეთის, ბერშუეთის და სხვა კოლმეურნეობებში, რომელთა თავთავაუკრეფავ ნაკვეთებში 2 აგვისტოს პირუტყვი იყო გაშვებული.

აქედანვე მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის

სწორად იქცევიან რაიონის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელები, როცა აქედანვე გულმოდგინედ ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. ეს ითქმის სოფლების ზეღდულეთის, ვარიანის, ზერტის და სხვა კოლმეურნეობებზე. ასე როდია ბერშუეთში. აქ საშემოდგომო თესვისათვის 850 ცენტნერი თესლი ესაჭიროებათ, მაგრამ სათესლედ შენახული 420 ცენტნერი მარცვალი დღემდე გაუწმენდავი ყრია საწყობში. ბერშუეთელი კოლმეურნეები სათესლე მასალის გაწმენდას მანქანით აპირებენ. ახალსოფლის მტს-მა თესლსაწმენდი მანქანა „ვიმი“ შეუკეთებელი მიიტანა კოლმეურნეობაში და ახლა მას ადგილზე თვითონ კოლმეურნეობა უკეთებს რემონტს.

შინდისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობები რაიონში ყველაზე პირველნი იწყებენ საშემოდგომო თესვას. ამიტომ აქ ამ კამპანიისათვის მზადება ჩქარი ტემპით უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ ასე არ არის მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადებში, რომლებიც დაგვიანებით შეუდგნენ სათესი მანქანების წესრიგზე მოყვანას. სრული დატვირთვით არ მუშაობენ მარცვალსაწმენდი მანქანებიც. სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობაში უქმად დგას „ვიმი“.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ შინდისის, ტყვიავისა და ახალსოფლის მტსები (დირექტორები ამხ. ი. ტლაშაძე, დ. დადიანი, დ. საამიშვილი), ხოლო ამ მტს-ებში პარტიის გორის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები ითმენენ ასეთ მდგომარეობას.

გორის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სწრაფად უნდა გამოასწოროონ ეს ნაკლოვანებები, აღკვეთონ პურეულის დანაკარგები, აქედანვე საუკეთესოდ მოემზადონ საშემოდგომო თესვისათვის.

ბაზეთ „კომუნისტის“ რეიდის მონაწილენი: ა. ზურაბაშვილი, ვ. მელაძე — რაიონულ გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ რედაქციის მუშაკები, **შ. ხუციშვილი** — რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგე, **მ. ხეთაგური** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

6 აგვისტო

კასპის მტს-ში

მ. გოგოლაშვილი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალს იღებს კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ნომეა 15 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვალი. სულ ალეულული აქვს 321 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 16 ცენტნერი.

ო. გუგულაშვილმა თვითმავალი კომბაინით ამავე კოლმეურნეობაში პურეული აიღო 13 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 16 ცენტნერი. სულ მომკილი აქვს 240 ჰექტარი პურეული.

გორის მტს-ში

ა. აკოფოვა სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით აიღო 240 ჰექტარზე და გალეწა 2.210 ცენტნერი ხორბალი.

მ. სარალიძემ ფლავის კოლმეურნეობაში 7 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“-ით მომკა 120 ჰექტარი და გალეწა 1.020 ცენტნერი მარცვალი.

ახალციხის მტს-ში

ა. ფეიქრიშვილი მუშაობს სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ გამოცდილმა კომბაინერმა პურეული მომკა 18 ჰექტარზე და საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი.

ო. აღაჯანიანმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული კომბაინერ ა. ფეიქრიშვილთან, მომკა 17 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი ხორბალი.

სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების თავისებურებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითად დაამუშავა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები როგორიცაა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის და სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების შესახებ.

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, მაგრამ არა სავსებით ერთნაირად. თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა ლენინის ეს გენიალური დებულება. ახლა სოციალიზმის მშენებლობისა და მისი გამარჯვების საბჭოთა გამოცდილებასთან ერთად გვაქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებაც. საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ მომხდარი ცვლილებები იძლევიან იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა პარტიების წარმომადგენლები პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების გზით განახორციელებენ სოციალიზმზე მშვიდობიან გადასვლას.

თანამედროვე პირობებში კომუნისტურ პარტიებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ყველაზე ნაკლები მსხვერპლით, მშვიდობიანი გზით მიიყვანონ ხალხები სოციალიზმის გამარჯვებამდე. ამ მიზანს ისახავდა ბოლშევიკური პარტია 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როცა ლენინმა საბჭოებს მოუწოდა ხელში აეღოთ ძალაუფლება. „თუ მთელ ძალაუფლებას აიღებენ, საბჭოებს ახლაც შეუძლიათ— და, ალბათ, ეს მათი უკანასკნელი შანსია — უზრუნველყონ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, ხალხის მიერ თავისი დეპუტატების მშვიდობიანად არჩევა, საბჭოების შიგნით პარტიების მშვიდობიანი ბრძოლა, სხვადასხვა პარტიის პროგრამათა გამოცდა პრაქტიკით, ერთი პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გადასვლა“ (ტომი 26, გვ. 63).

და თუ ეს შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული, მიუთითებდა ლენინი, — მაშინ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სამოქალაქო ომი აუცილებელი იქნება.

ყველა ჯურის რეფორმისტები იცავენ სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანი გზით შეზრდის თეზისს. ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი თავის განვითარებაში ბადებს სოციალისტურ ელემენტებს. რეფორმისტების აზრით, ამ ელემენტების რიცხვობრივი ზრდა ევოლუციური გზით იქამდის მიგვიყვანს, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმში გადაიზრდებაო.

მარქსისტები უარყოფენ ამ გზას და აცხადებენ, რომ სოციალიზმის ასაშენებლად საჭიროა წარმოების კაპიტალისტური წესი სოციალისტურით შეიცვალოს, მაგრამ ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი გზით.

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ბატონობა ლიკვიდირებულ იქნა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით, რომელიც გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავების გამო შეიარაღებული აჯანყების გზით განხორციელდა.

ოქტომბრის რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის იყო პირველი რევოლუცია, რომელმაც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დამყარა თავისი დიქტატურა; ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა ისეთ ქვეყანაში, სადაც დიდად სუსტბობდა წვრილი გლეხური წარმოება. წვრილმა ბურჟუაზიამ რუსეთში მეტი ბერყეობა გამოიჩინა და ამან გაართულა რევოლუციის განვითარება. დამხობილი ბურჟუაზია დიდხანს დარჩა ძლიერი და იმედოვნებდა მოეხდინა თავისი ძალაუფლების რესტავრაცია. სწორედ ამიტომ გააჩაღა ბურჟუაზიამ სამოქალაქო ომი. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ის პარტიები, რომლებიც თავს მშრომელთა ინტერესების დამცველებს უწოდებდნენ — ესერები, მენშევიკები — ბურჟუაზიის დამცველები იყვნენ. ამან გამოიწვია ის, რომ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ამ პარტიებს მიჰყვებოდა, მერყეობდა და ეს აძნელებდა რევოლუციის წარმატების საქმეს.

ასეთი გართულებული მდგომარეობის წინაშე იდგა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, რომელსაც ისტორიული ამოცანები უნდა გადაეწყვიტა. ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო იყო ბრძოლისუნარიანი და ეფექტური ფორმა რევოლუციური ხელისუფლებისა. ამიტომ მარქსისტებმა გადაჭრით გაილაშქრეს პარლამენტური რესპუბლიკის წინააღმდეგ და მათი ხელმძღვანელობით მშრომელებმა შექმნეს საბჭოების რესპუბლიკა.

საბჭოებმა მთლიანად გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მათ უზრუნველყვეს ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციის განადგურება, სახალხო მეურნეობის აღდგენა, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, გერმანელი თაშისტთა განადგურება, და ახლა წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს.

საბჭოების გამოცდილება არის და რჩება შესანიშნავ წვლილად კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გამოცდილებაში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იყენებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას, მაგრამ სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ საბჭოთა გამოცდილება ერთადერთი გამოცდილებაა. ცხოვრებამ ცხადყო, რომ არსებობს სოციალიზმზე გადასვლისა და სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ფორმები.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების რევოლუციამ და იქ სოციალიზმის მშენებლობამ ბევრი რამ ახალი შეიტანა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის თეორიაში.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში წარმოიშვა დემოკრატიული რევოლუციის ახალი სახესხვაობა — ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუცია, რომელიც მიმართული იყო ამ ქვეყნების ბურჟუაზიული კლასის ერთი ფენის — სამრეწველო-საფინანსო ბურჟუაზიის, მემამულეთა კლასისა და უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მუშათა კლასის ხელმძღვანელობით დამყარდა ხალხის რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც, ბურჟუაზიის იზოლაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებით, შეიარაღებული აჯანყების მოუხდენლად მშვიდობიანად გადაიზარდა პროლეტარიატის დიქტატურაში.

რუსეთში სოციალისტური რევოლუცია განხორციელა მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან, ქალაქისა და სოფლის ნახევრადპროლეტარულ მასებთან კავშირით, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კი სოციალისტური რევოლუცია განახორციელა მუშათა კლასმა მთელ მშრომელ გლეხობასთან კავშირით, ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასთან და ინტელიგენციასთან კავშირით. ამასთან ერთად წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიულმა პარტიებმა ხალხს არ უღალატეს. ამიტომ სოციალისტური რევოლუციის ბაზა იმდენად გაიზარდა, რომ რევოლუციის მსვლელობაში ზოგიერთი საკითხი უფრო იოლად გადაწყდა, ვიდრე რუსეთში.

ამ თავისებურებებმა განსაზღვრა მუშათა კლასის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის — სახალხო-დემოკრატიული წყობილების აუცილებლობა. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოების რესპუბლიკის ტიპს მიეკუთვნება, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკა არ არის.

საბჭოთა რესპუბლიკა და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მუშათა კლასის დიქტატურის ორ სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ. რასაც ვგულისხმობთ საბჭოებში, როგორც ხალხთან კავშირის უმაღლეს ფორმაში, ამასვე ვგულისხმობთ სახალხო დემოკრატიაში.

საბჭოებსა და სახალხო რესპუბლიკას შორის შინაარსის მიხედვით არავითარი განსხვავება არ არის. მათს შინაარსს შეადგენს მუშათა კლასის დიქტატურა, რომლის საფუძველს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი წარმოადგენს. განსხვავება სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, ახალი ცხოვრების მშენებლობის ფორმებშია.

სახალხო რესპუბლიკამ გვიჩვენა: 1. მუშათა კლასის დიქტატურა შეიძლება განხორციელდეს კომუნისტური და სხვა პოლიტიკური პარტიების კავშირის პირობებში; 2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კოალიციურია, შედგება მოცემულ ქვეყანაში რამდენიმე ან ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან; 3. სახელმწიფოს ახალი ორგანიზაციული ფორმა ემყარება მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის კავშირს. ასეთ ახალ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მუშათა ფრონტი ბულგარეთში, ეროვნული ფრონტი — ჩეხოსლოვაკიაში, სამამულო სახალხო ფრონტი — უნგრეთში, დემოკრატიული ფრონტი — ალბანეთში და სხვ., 4. ბურჟუაზიის დამორჩილების მეთოდმა რამდენადმე შეიცვალა სახე. თუ ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გაძლიერებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო ბურჟუაზიულ ელემენტებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მათ აქვთ საარჩევნო ხმის უფლება. ასეთია ზოგიერთი თავისებურება, რომელიც მოგვცა ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების რევოლუციების გამოცდილებამ.

რაც შეეხება ჩინეთს, იქ რევოლუციის წინაშე მწვავედ იდგა ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური ამოცანები. ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში ბრძოლა მიმართული იყო ჰიტლერელი დამპყრობლებისა და საკუთარი ეროვნული სამრეწველო-საფინანსო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩინეთში კი ბრძოლა მიმართული იყო უცხოეთის იმპერიალიზმის, ფეოდალური რეაქციისა და კომპრადორული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სახალხო რევოლუციისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში სხვა სახელმწიფოთა იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრა არ შეიძლება ბურჟუაზიასაც არ შეეხოს. ეროვნულ ბურჟუაზიას განსაზღვრულ სტადიაზე და განსაზღვრული ვადით შეუძლია მხარი დაუჭიროს თავისი ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იქ ეროვნული მომენტი, როგორც განთავისუფლებისათვის ბრძოლის მომენტი, რევოლუციის ფაქტორს წარმოადგენს.

ჩინეთის ეროვნულ ბურჟუაზიას დიდი ხნის განმავლობაში ართმევდნენ ბაზრებს, ხელს უშლიდნენ მისი წარმოების განვითარებას და სხვ. ამიტომ ეროვნული ბურჟუაზია მუშათა კლასისა და გლეხობის, აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მოკავშირე გახდა იმპერიალიზმის, კომპრადორული ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1949 წლის შემოდგომაზე ჩინეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი განთავისუფლებული იყო. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დამყარდა ხალხის რევოლუციური ხელისუფლება,

მახინჯაურელებთან, ფერმაში



— შენ უფრო თამამი ხარ, მიდი, ქეთევან, უჩვენე ქალალდი! — სთხოვდა რაისა ამხანაგს.

— რატომ მაინცდამაინც მე, ვითომ რით ხარ ჩემზე ნაკლები, ხელმძღვანელადაც შენ ხარ სკოლიდან გამოყოფილი, — არ თმობდა ქეთევანი.

— არა, მე... არა, შენ... ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ამ ორ ქალიშვილს შორის ასეთი პაექრობა, შემთხვევით წითელი კუთხის ფანჯრიდან რომ არ გამოეხედა ფერმის ვეტერინარ-ექიმს ნიკოლოზ ჟუტოვს.

— რაზე შეწუხებულხართ, ქალიშვილებო. რა განგებავთ? — ფანჯრიდანვე შეეკითხა ახალმოსულებს ჟუტოვი — დაბალ-დაბალი, პირხმელი, ჭალარა კაცი.

ქეთევანმა მოკრძალებით ქალალდი გაუწოდა.

ჟუტოვმა ჯიბე მოიქექა. როგორც ჩანდა, სათვალეს ეძებდა, მაგრამ ვერ ნახა.

ქალიშვილები ჟუტოვს მიუხვდნენ და მის შეკითხვას არ დაელოდნენ.

— ბათუმიდან ვართ, ძია, აჭარის საოლმეურნეო სკოლის მოსწავლეები, პრაქტიკაზე გამოგვგზავნეს თქვენთან, ფერმაში.

— კეთილი, გეთაყვა, კეთილი, სწორედ კარგ დროს მოხვედით, — აფუსფუსდა იგი და ახალგაზრდები წითელ კუთხეში შეიპატიჟა.

ოთახში წამლისა და ახალგათიბული ბალახის სურნელი იდგა. წამლის სუნი მოდიოდა ჟუტოვის მედიკამენტების კარადიდან, რომელიც რადიორეპროდუქტორის გვერდით კუთხეში იდგა, ხოლო ბალახისა — ფერმის ეზოდან, სადაც ეს-ეს არის ფერმიდან ახალგამოშვებულ პირუტყვს საკვები მისცეს.

სანამ ჟუტოვი წამლების გადახსნა-გადმოხსნას მორჩებოდა, პრაქტიკანტებმა რაისა ფოტელიძემ და ქეთევან გოგიტიძემ ეზოში გაიხედეს. სასილოსე კოშკებთან და ფერმის ლამაზი ნაგებობით დამშვენებული ეზო სავსე იყო ველის წითელი ჯიშის ძროხებით. ჩუმი შარაშური ისმოდა. მაღიანად ჭამდა პირუტყვი რძიან ბალახს.

ფერმის ირგვლივ ულამაზესი სანახაობა გადაშლილიყო. აკაურობა მწვანეში იყო ჩაფლული. ფერმის ეზოს ერთ მხარეზე ზღვა ეკრა, მეორეზე — ზღვისფრად გადაშლილი ჩაისა და ციტრუსების პლანტაცია, ქარსაფარი ზოლებით შემოფარგლულ ფერდობზე ტერასებად განლაგებული. ამ ფერმახა და პლანტაციაში იყო მახინჯაურელი გლეხის ბედნიერების წყარო.

ფერმას პატარა ღელე ჩაუდიოდა. რაისას უკვირდა, ამ სიცხესა და პაპანაქებაში არც ერთი ძროხა წყლისკენ რომ არ ისწრაფოდა, და თავისი გაკვირვება ამხანაგსაც გაუზიარა.

— უცნაური შეკითხვაა, უვიცობას ამეღვნებ, — დატუქსა ამხანაგი ქეთევანმა და თან განუმარტა, — აბა რა მოხელეა ხელოვნური სარწყულებელი. იმ ღელეზე უკეთესი წყალი აქვთ ძროხებს შიგ ფერმაში, ცივი და სუფთა. ქეთევანს ეს სიტყვები ჟუტოვმაც დაუდასტურა.

— თქვენ ალბათ გინდათ ნახოთ ფერმის გამგე დიმიტრი ვასილიევი. ვფიქრობ, დ

შეთანხმება სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

სოფია, 5 აგვისტო. (საკდესი). მოლაპარაკების შედეგად სოფიაში ხელმოწერილია შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სამოქალაქო ავიაციის დარგში.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების საჩუქარი დამასკოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას

დამასკო, 4 აგვისტო. (საკდესი). გუშინ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების რწმუნებულმა სირიაში ვ. დ. პოლიაკოვმა ამ საზოგადოების სახელით დამასკოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა მთელი რიგი საბჭოთა გამოცემანი რუსულ, არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გადაცემულ წიგნებს შორის არის შრომები ისტორიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, ენათმეცნიერების, ბიოლოგიის, მედიცინის, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგში. წიგნების მიღებისას უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორმა კანოვატიმ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებას საჩუქრისათვის.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა

ვარშავა, 5 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტომ გადასცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი ცნობა:

„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა დაადგინა გაიუქმოს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის 1949 წლის ნოემბრის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება დაუსაბუთებელ და უსამართლო ბრალდებებს მტრული აგენტურისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებაში, რაც წაუყენეს ამხანაგებს ვლადისლავ გომულკას, მარიან სპიხალსკის და ზენონ კლეშკოს.

VII პლენუმის შემდეგ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წარმომადგენლები ესაუბრნენ ამხანაგ ვლადისლავ გომულკას. საუბრის დროს, კერძოდ, შეეხნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის ძირითად პრობლემებს.

მოისმინა რა ანგარიში ამ საუბრის მსვლელობის შესახებ, პოლიტბიუროს გადაწყვიტა აღადგინოს ამხანაგი ვლადისლავ გომულკა პარტიის წევრის უფლებებში.

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი

პეკინი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დამთავრდა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ აიდიტი აირჩია.

ინდოეთში ამუშავდა ატომის პირველი რეაქტორი

დელი, 4 აგვისტო. (საკდესი). დელის რადიოს ცნობით, ატომის სადგურში ბომბეის ახლოს ამუშავდა ინდოეთის ატომის პირველი რეაქტორი. ინდოეთის ატომის ენერგიის კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა ხომი ბაბამ დღეს საღამოს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ატომის რეაქტორი დაახლოებით ერთ წელიწადს შენდებოდა. აზიის ქვეყნებს შორის ინდოეთმა პირველმა ააგო რეაქტორი. აქ მიიღებენ რადიაქტიურ იზოტოპებს, რომლებსაც იყენებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში. პროფესორმა ბაბამ რწმენა გამოთქვა, რომ 10 წლის შემდეგ ინდოეთი შეძლებს ააგოს თავისი პირველი ატომის ელექტროსადგური.

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დოქტორ ბაბას გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს: დიდი სიხარულით შევიტყვე, რომ ინდოეთმა ისტორიაში პირველად დაიწყო ატომის ენერგიის წარმოება.

ნერუმ მიულოცა ატომის ენერგიის კომისიის მუშაკებს, რომლებმაც ეს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს.

იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობა 1956 წლის პირველ ნახევარში

ბელგრადი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუგოპრესის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიამ 1956 წლის პირველ ნახევარში გაიტანა 43.370 მილიონი დინარის საქონელი გასული წლის ამავე პერიოდის 32.447 მილიონ დინართან შედარებით. იმპორტი 68.633 მილიონი დინარიდან გადიდდა 75.743 მილიონ დინარამდე.

საგაჭრო ბალანსის დეფიციტი 1955 წლის პირველი ნახევრის 36.186 მილიონი დინარიდან 1956 წლის პირველ ნახევარში შემცირდა 32.371 მილიონ დინარამდე.

იტალია სამხედრო თვითმფრინავებს აწვდის ღასავლეთ გერმანიას

რომი, 3 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ტემპო“ იუწყება, რომ იტალიის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე იტალია დასავლეთ გერმანიის სამხედრო ავიაციას გადასცემს 491 რეაქტიულ თვითმფრინავს, რომელთა საერთო ღირებულება 105 მილიარდ ლირას შეადგენს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ილაშქრებს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ ეგვიპტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მთავრობის პოზიციის წინააღმდეგ.

„საფრანგეთის ინტერესებს, — ნათქვამია განცხადებაში, — საერთო არა აქვს რა სუეცის არხის კომპანიის აღმინისტრატორთა პრივილეგიებთან. ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება კანონიერია. არც ერთი სოციალისტი, არც ერთი დემოკრატი არ გაილაშქრებს ამ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. სუეცის არხი ააგო ეგვიპტელმა ხალხმა. იგი დაჯდა 120 ათასი ეგვიპტელი მშრომელის სიცოცხლის ფასად. ხოლო სუეცის არხის კომპანიის კაპიტალისტთა ჯგუფი ყოველწლიურად მილიარდობით ფრანკ მოგებას იღებდა.

ეგვიპტელმა ხალხმა, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხმა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდნენ და ახლა თავისუფლდებიან, არ მოისურვა, რომ მისი ეროვნული სიმდიდრე უცხოელ საქმოსნების კუთვნილება გახდეს.

ეგვიპტის მთავრობამ, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, „პირობა დადო უზრუნველყოს თავისუფალი მიმოსვლა ამ დიდი საერთაშორისო სანაოსნო გზით. არ გაადიდოს არხში გემების გავლის ფასი, აანაზღაუროს ზარალი, რომელიც აქციონერებს მოუვიდათ.

მაშასადამე, არავითარი საფუძველი არ არის, რომ დავიცვათ სუეცის არხის კომპანიის კაპიტალისტთა უდიდესი პრივილეგიები, არც იმისათვის, რომ მუქარა გამოვთქვათ.

მაგრამ ლონდონში საფრანგეთის მთავრობა გამოვიდა აქციონერთა გააფთრებული დემაგოგიის როლში: მან ხელი მოაწერა არხის მართვის „ინტერნაციონალიზაციის“ პროექტს, ესე იგი პროექტს, რომელიც სადავოს ხდის ნაციონალიზაციას, რაც ხელს შეუშლის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. იგი ქმნის სერიოზული ინციდენტების შესაძლებლობას, როცა ბრძანებას აძლევს ხომალდებს არ შეიტანონ არხზე გავლის უფლების ფასი. იგი იღებს სამხედრო ღონისძიებებს, რათა მზად იყონ ჩვენი ესკადრები...“

განცხადებაში შემდეგ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რეაქციონერებს „არა სურთ ეგვიპტეს აპატიონ მისი უარი ბაღდადის აგრესიულ სამხედრო ბლოკთან მომხრობაზე, რომელიც ატლანტიკის ბლოკის ფილიალია შუა აღმოსავლეთში; მათ ყველაზე უფრო ეშინიათ ხალხთა მისწრაფებისა — განამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა, უარი თქვან სამხედრო ბლოკების პოლიტიკაზე, არ დაემორჩილონ იმპერიალისტთა მოთხოვნებს და ეძებონ მშვიდობის გზა“.

„ეგვიპტის მიმართ ძალის პოლიტიკა, — აღნიშნულია განცხადებაში, — ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. ასეთი პოლიტიკა ჩვენ მოგვთხოვდა დიდი მსხვერპლის გაღებას კოსმოპოლიტი კაპიტალისტების პატივმოყვარული განზრახვებისათვის; იგი მიმართული იქნებოდა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ; იგი გააძნელებდა ალჟირის პრობლემის გადაჭრას მოლაპარაკების საფუძველზე; იგი გამოიწვევდა ჩვენდამი სიძულვილსა და მკაცრ დაგმობას ახლო და შუა აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის მხრივ და ამით შეასუსტებდა საფრანგეთის პოზიციას მთელ მსოფლიოში“. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს თავიდან აიცილონ ყოველი სამხედრო ღონისძიება; ამხილონ სუეცის არხით გემების გავლისათვის ფასის შეტანაზე უარის თქმის პროვოკაციული ხასიათი; მოითხოვონ სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა მოლაპარაკების გზით. მხოლოდ ასეთი გზა, ნათქვამია განცხადებაში, შეესაბამება საფრანგეთის ღირსებასა და ინტერესებს და ყველა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას ამოცანას.

ნორმალური ნაოსნობა სუეცის არხში

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო, იმოწმებს რა მისი კორესპონდენტის მიერ მთელი რიგი ქვეყნების სანაოსნო კომპანიებისაგან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ საერთაშორისო ნაოსნობა სუეცის არხში გრძელდება ნორმალური პირობებში მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ განახორციელა არხის კომპანიის ნაციონალიზაცია.

პორტ-საიდი, იუწყება, კერძოდ, სააგენტო, ყველაზე მშვიდი ადგილია ნაციონალიზაციის მომენტიდან. კომპანიის სანაოსნოს აგენტები და მოსამსახურეები ადასტურებენ, რომ ეგვიპტის ხელისუფალნი ასრულებენ თავიანთ დანირებას სრულიად შეუფერხებლად გაატარონ გემები არხში.

ზეეციის გემთმფლობელთა ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, შვეიცის გემები ჩვეულებრივი წესით სრულიად დაუბრკოლებლად დადიან არხში. დანიის სანაოსნო პალატამ განაცხადა, რომ ნაციონალიზაციის შემდეგ მოვლენათა განვითარებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია გემების მიმოსვლაზე.

ნორვეგიელ გემთმფლობელებსაც არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრიათ სუეცის არხში.

საფრანგეთის საგაჭრო ფლოტის სამინისტროს თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ არხში საფრანგეთის გემების ნაოსნობის არავითარი ცვლილება არ მომხდარა. არხში ყოველკვირეულად გადის 20-ზე მეტი გემი, მათ შორის 15 ტანკერი.

როგორც ინგლისის ერთ-ერთი დიდი სანაოსნო კომპანიის წარმომადგენელმა განუცხადა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს, ინგლისის გემებს, რომლებიც სუეცის არხში დადიან, მიეცემული აქვთ განკარგულება განგრძონ გზა. „დღემდე ჩვენი გემები არ დაზიანებულა“, — დასძინა მან.

პარიზი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ჰამბურგიდან იუწყება, გერმანიის ნავთობის კომპანიების „ესო აგის“ და „დოიჩე შელა აგის“ დირექციებმა განაცხადეს, რომ მათი ტანკერები ამერიდან სუეცის არხში გავლისათვის გადასახდელ აძლევენ უშუალოდ ეგვიპტის მთავრობას ეგვიპტეში ამ კომპანიების აგენტების მეშვეობით.

ლონდონი, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, იაპონიის გემთმფლობელთა ასოციაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაპონიის სანაოსნო კომპანია „სინ ნიპონმა“ ეგვიპტის ხელისუფლებს პორტ-საიდში გადაუხადა გამოსაღები სუეცის არხში იაპონიის გემების გავლისათვის.

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უკავია, როგორც ჩანს, საშუალო პოზიცია სუეცის არხში გავლისათვის გამოსაღებთა გადახდის საჩოთირო საკითხში“. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ, იუწყება კორესპონდენტი, ნება დართო ამერიკელ გემთმფლობელებს აძლიონ ეგვიპტის მთავრობას ეს გამოსაღები, მაგრამ მისცა განკარგულება ამასთან ყველა შემთხვევაში „განაცხადონ პროტესტი“.

დაღესის გამოსვლა რადიოთი

ვაშინგტონი, 4 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო მდივანმა დალესმა გუშინ საღამოს რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა სიტყვა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის თათბირის შესახებ. მისი გამოსვლის წინ მოკლე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა.

დალესმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ 24 ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირმა, რომელსაც ინგლისის მთავრობა იწვევს, უნდა შეიმუშაოს სუეცის არხის „საერთაშორისო მართვის“ გეგმა. დალესი ამტკიცებდა, რომ ასეთი გეგმა თითქოს „სავსებით დაიცავს ეგვიპტის კანონიერ ინტერესებს“ და რომ „არსებობს მსწრაფება, რათა დამოკიდებულება ეგვიპტისადმი მაქსიმალურად სამართლიანი იყოს“.

დალესმა აღნიშნა, რომ სუეცის არხი გადის ეგვიპტის ტერიტორიაზე. სუეცის არხის კომპანია, აღიარა მან, „რეგისტრირებული იყო ეგვიპტეში“ და „მუშაობდა ეგვიპტის მთავრობისაგან მიღებული პრივილეგიის საფუძველზე“. მაგრამ მთელი მისი სიტყვა იყო მკვახე გამოხდომა ეგვიპტის წინააღმდეგ და სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

დალესმა იმ მდგომარეობას, რომელიც სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ შეიქმნა, უწოდა „საშიში“. ნაციონალიზაციის აქტი, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ეგვიპტის ეკონომიური დამოუკიდებლობის გზაზე, დალესმა თვითნებურად განმარტა როგორც „შურისგების გაბორტებული აქტი მოჩვენებითი შეურაცხყოფისათვის“.

დალესის სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატები არ ფიქრობს, რომ 24 ქვეყნის თათბირი ჩაიშლება. ამერიკის შეერთებულ შტატებს, განაცხადა მან, „არავითარი ვალდებულება არ უკისრიათ იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევიან ისინი“ ასეთი ჩაშლის შემთხვევაში.

„ინდონეზიამ უნდა მიჰბაძოს ეგვიპტის მაგალითს...“

კარტავინატას განცხადება

ჯაკარტა, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც ანტარის სააგენტო გადმოგვცემს, ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პარტია ინდონეზიის მუსლიმანთა კავშირის ლიდერმა არუჯი კარტავინატამ, კომენტარი გაუკეთა რა ეგვიპტის გადაწყვეტილებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ, მას უწოდა „მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომელიც უდიდეს გავლენას მოახდენს მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობაზე“. მან რწმენა გამოთქვა, რომ ეგვიპტის ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

კარტავინატამ განაცხადა, რომ ინდონეზიის მთავრობამ უნდა მიჰბაძოს ეგვიპტის მაგალითს და ამ შეთანხმებათა გაუქმების შემდეგ, რომლებიც ჰოლანდიასთან დადო „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციაზე, მოახდინოს ყველა დიდმნიშვნელოვანი სანაოსნო კომპანიის, პლანტაციებისა და სამთამადნო საწარმოების ნაციონალიზაცია.

ინდონეზიამ უარი თქვა ჰოლანდიისათვის ვალის გადახდაზე

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ინდონეზიის მთავრობამ დღეს გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება „აღარ ცნოს და აღარ გადაუხადოს ჰოლანდიას ინდონეზიის ვალი, რომელიც ჩამოთვლილია „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის შეთანხმებებში, რომელთა დენონსაცია ინდონეზიამ ამა წლის თებერვალში მოახდინა.

მოსადიკი გაათავისუფლეს საპყრობილიდან

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოსადიკი საპყრობილიდან გაათავისუფლეს. 1953 წლის აგვისტოში მას მიუსაჯეს სამი წლის პატიმრობა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

ასპარეზობის მეოთხე დღე

მოსკოვი, 6 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც.-კორ.). დღეს დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე გრძელდებოდა შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ 11 სახეობაში.

დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა კალათბურთელთა შეხვედრებს. დღის პირველ ნახევარში გაიმართა მოძმე რესპუბლიკების ქალთა და ვაჟთა ნაკრები კოლექტივების სამ-სამი მატჩი. საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეხვდა ბელორუსიის გუნდს. თავიდანვე ბრძოლა საქართველოს კალათბურთელთა უბატონობით წარიმართა და შეხვედრა დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 84:54. ვაჟთა გუნდების ორი დანარჩენი მატჩების შედეგი ასეთია: ლენინგრადი-ყირგიზეთი 95:31, მოსკოვი-აზერბაიჯანი 66:45.

ქალთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა შემდეგი ანგარიშით: ლენინგრადი-ყაზახეთი 47:32, მოსკოვი-კარელია 126:26, სომხეთი-თურქმენეთი 44:42.

პირველობის გათამაშება კალათბურთში მიმდინარეობს სამ ჯგუფად. ამ ჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდისაგან შეიქმნება პირველი ფინალური ჯგუფი, სადაც მოეწყობა ბრძოლა პირველი 6 საპრიზო ადგილისათვის. მეორე ფინალურ ჯგუფში გათამაშდება VII — XII ადგილები, მესამეში XIII — XVIII ადგილები. გამარჯვებული გუნდი მოიპოვებს სსრ კავშირის ჩემპიონისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდებას.

ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეხვედრები ცურვისა და წყალბურთში. დღისით მომდინარეობდა წინასწარი შეჯიბრება ნებისმიერი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ვაჟთათვის და ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ქალთათვის.

საინტერესო ბრძოლა ვაჟთა შორის მოიგო ბალანინმა (მოსკოვი), მეორე ადგილი დაიკავა სოროკინმა (ლენინგრადი) მესამე — ნიკიტინმა (საქართველო). ქალთა შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა გავრიში (უკრაინა).

დღეს გვიან სალამოს მოეწყო ნახევარფინალური შეხვედრები. დაიწყო წინასწარი შეჯიბრება ფარიკაობაში. პირველ დღეს შედგა რაპირით ბრძოლა. მოსკოვის გუნდმა მოუგო ლატვიას (12:4), საქართველომ — ყაზახეთს (11:5), ლენინგრადმა — ყირგიზეთს (14:2), უკრაინამ — ლიტვას (14:2), აზერბაიჯანმა — ტაჯიკეთს (16:0), ბელორუსიამ — მოლდავეთს (12:4).

დღეს გაიმართა აგრეთვე შეხვედრები თავისუფალ ჭიდაობაში, წყალბურთში, ველოსპორტში, ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, ტყვიის სროლაში, ჩოგბურთში და ფეხბურთში.

სპარტაკიადა გრძელდება.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, 8 და 9 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში ძლიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 18-23, დღისით 29-34 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 13-18, დღისით 23-28 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 17-22, დღისით 30-35 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 14-16, დღისით 21-26 გრადუსი.

ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღის დღესასწაული საქართველოში



საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღე და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომელიც 5 აგვისტოს გაიხსნა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი. ათასობით თბილისელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „პიშჩევიკის“ საზოგადოებათა ველოსიპედისტების ამანათრებენს, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზე მიეწყო.

ბევრი ხალხი იყო „თბილისის ზღვაზე“, სადაც გაიმართა წყალბურთელთა, ნიჩბოსანთა, მცურავთა — პროფკავშირების სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებების წარმომადგენელთა ასპარეზობა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სამმხმარებელო კოოპერაციის მუშაკთა სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში შედის შეჯიბრება მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ფრენბურთში. სპარტაკიადაში მონაწილეობს ათასობით სპორტსმენი.

ლანჩხუთსა და წითელწყაროში მოეწყო ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ წევრ კოლმეურნე სპორტსმენთა ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობს სპორტის ამ პოპულარული ეროვნული სახეობის 400-მდე მოყვარული.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში და თბილისის სხვა პარკებში ფიზკულტურელის დღისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აღსანიშნავად მოეწყო დიდი სახალხო სეირნობანი, ხელოვნების ოსტატთა კონცერტები.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა ტრადიციულ დღესასწაულს ბრწყინვალედ მიღწევებით შეხვდნენ. სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში 142 ათასამდე სპორტსმენმა ჩაატარა „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის ნორმატივები. ამავე პერიოდში მოპოვებულია 38 ათასზე მეტი სპორტსმენი თანრგოსანი. ქართველმა სპორტსმენებმა დამყარეს 112 რეკორდი, აქედან 4 სრულიად საკავშირო და 3 მსოფლიო რეკორდი. (საკდესი).

• • •

სურათზე: 1. რგოლური ველორბენა ქალაქში, ველოსიპედისტები ლენინის ქუჩაზე. 2. სამმხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მეორე საზაფხულო სპარტაკიადის გახსნა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. ალმის აღმართვის მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სასამართლო დარბაზიდან

ავტოხულიგანი დასჯილია

რუსთავის ავტოსატრანსპორტო კანტორის საბარგო ავტომანქანის მძღოლს დავით დარჩიაშვილს, რომელიც მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონებში იყო გაგზავნილი, იმ დღეს ბედმა გაუღიმა. მახარაძეში „საშოვარზე“ გამოსულს მაშინვე გამოუჩნდა მეუტარი. სოფ. ჩაისუბანში ტვირთის ატანისათვის 100 მანეთი მოითხოვა. არც შეეჯავრებიან, გზაშიც ბედად არავის გაუჩერებია, ფულიც ჩუთვალეს და კარგადაც აქეიფეს.

„გუნებაზე დამდგარი“ დარჩიაშვილი დარდიმანდული ღიღინით ბრუნდებოდა უკან და ახალი მუშტრის მოლოდინში ჩახლეჩილი ხმით უყვიროდა მახარაძისაკენ მიმავალ მგზავრებს:

— აბა, ჰა, ვინ მოდის მახარაძეში!

მსურველები აღმოჩნდნენ. მანქანაში ოცდახუთამდე კაცი ჩაიეტედა.

მანქანა დაიძრა. დაიძრა, მაგრამ როგორ დაიძრა! რომ იტყვიან, არც ცა მიაჩნდა ქუდად, არც დედამიწა ქალამნად. — მიდი, გარეკე, — ამხნევებდა საკუთარ თავს დარჩიაშვილი და მანქანას საშინელი სისწრაფით მიაქროლებდა. შეშინებული მგზავრები ყვიროდნენ, კაბინის სარეარაგზე აბრახუნებდნენ, მაგრამ თავში ღვინოადარდნილ მძღოლს ალარაფერი ესმოდა. მან მოსახვევში საქე ელიარ დაიმორჩილა დ... მანქანა გადაბრუნდა. მგზავრებიდან ხუთი კაცი გარდაიცვალა, დანარჩენები დასახიჩრდნენ. დარჩიაშვილმა მიმალვა დაიპირა, მაგრამ ვერ მოასწრო — შეიპყრეს.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსჯელმა სასამართლო კოლეგიამ განიხილა დ. დარჩიაშვილის საქმე და დამნაშავეს მიუსაჯა 25 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ა. ხიჯვაძე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ღღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — მდევარი, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, კომუნარების ბაღი** — დოქტორი რობერტ მაერი, **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი** — რისხვის ალი, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ქუხილის ბილიკით, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — შეხვედრა, **ისანი** (საზაფხულო), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — შეხვედრა, **დიდუბე** (საზაფხულო), **კოლმეურნე** — ერთი ჭიქა ლუდი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ძვირფასი საჩუქარი, **დიდუბე** (საზამთრო) — გადარეული დღე, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — სასტუმროს შიკრიკი.

მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას მე-5, მე-11 კლასებში რუსულ და ქართულ სექტორებზე. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ოცქალაქენი 16 და მეტი წლის ასაკისა, რომლებსაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

დაუსწრებელი საშუალო სკოლა სარგებლობს მასობრივი სკოლის ყველა უფლებით.

განცხადებები მიიღება 1956 წლის 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს, აწარმოებს კვირაში ორ დღეს ჯგუფური და ერთ დღეს ინდივიდუალური კონსულტაციები.

სკოლაში შემოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, დაბადების მოწმობა, ცნობები განათლებისა და მუშაობის შესახებ და 3 ფოტოსურათი. ის პირნი, რომლებიც წარმოადგენენ საბუთებს განათლების შესახებ, მაგრამ სწავლობენ სამ წელზე მეტი ხნის წყვეტა აქვთ, ცოდნის დონის გარკვევის მიზნით აბარებენ წერით გამოცდებს მშობლიურ და რუსულ ენებში და მათემატიკაში.

ის პირნი, რომლებსაც არა აქვთ საბუთები განათლების შესახებ, აბარებენ გამოცდებს ზოგ საგანში და ჩაირიცხებიან შესაფერ კლასებში.

მისაღები გამოცდები 20-დან 30 აგვისტომდე. სკოლის საკონსულტაციო პუნქტები გაიხსნება გარდაბანში, რუსთავში და თბილისში, სავაჭრო დარგის მუშაკებისათვის ვაჭრობის ტექნიკუმთან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან საღამოს 7 საათამდე სკოლის კანცელარიაში (ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 155, ტელეფონი 3-13-46, ოცდამეოთხე საშუალო სკოლის შენობა).

საბჭოთა ავალიფიციური სპეციალისტები:

ზეინკლები, ამშენებელ-ზეინკლები, ელექტროზეინკლები, ხარატები, მღარავები, მრანდავები, მხეხავები, შეგამხარატებლები, გაზშემდუღებლები, მტვიფრავები, მშვეხავები, მღებავები, ხის-დაზგანები, დურგლები, ხეროები, გამკრიალებლები, მბურღავები, მჭედლები, მეყალიბეები, ამომკვეთლები, ჩამომჭრელები, ჩამსხმელები, შემზავებლები, მემოქლონეები, მტვირთავები, მშრომელები, მეტალეელეები, მსხმელები და სხვა მუშები.

გარდა ამისა, ქარხანა იღებს შეგირდებს ინდივიდუალური სწავლებისათვის.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: შუმიანის ქ. № 3, 26 კომისრის რაიონი, შესასვლელი ეზოდან, ტელეფონი № 4-07-21, დილის 9 საათიდან საღამოს 18 საათამდე.

ალექსანდრე სოლომონის ასულ შაშნიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 7-VIII, 6 ს. ჩახრუხაძის ქ. № 10.

ალექსანდრე რაჟდენის-ძე უდუმაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-VIII, 8 ს. გამოსვენება 9-VIII, 5 ს. სამეუფროო ქ. № 10.

ნონია სამსონის ასულ მეძმარიაშვილი-დოკვირის გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-VIII, 8 ს. გამოსვენება 9-VIII, 6 ს. საბჭოს ქ. № 12.

ალექსანდრა სოლომონის ასულ შაშნიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 7-VIII, 6 ს. ჩახრუხაძის ქ. № 10.

ჯუმბერ ვლადიმერის-ძე ყორეოლიანის გარდაცვალებას.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი
(პლეხანოვის პროსპ. № 123)
11, 12, 13, 14, 15 აგვისტოს
აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტები
მხატვრული ხელმძღვანელი
რაუფ გაჯიევი
დირიჟორი **ვ. ბელინსკი**
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. წარმოუდგენელია ბილეთების წინასწარ